



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება №23

08 თებერვალი 2018 წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №13
დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22
დეკემბრის №13 დადგენილებაში თელავის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და
ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge,
03/01/2018, 010250050.35.163.016365).

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მუხლი 1- ის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:

„3. კომისია იქმნება ამ დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი
მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიისა და მისი
სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის
იურიდიული პირების კონტროლის მიზნით“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე